



22.05.2023 წ.

სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების
ცენტრალური დეპოზიტარის“
აქციონერებს

გაცნობებთ, რომ 2023 წლის 12 ივნისს 12:00 საათზე ჩატარდება სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის“ (ს/ნ 204935400) (იურიდიული მის: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი N74ა, შემდგომში - „ცენტრალური დეპოზიტარი“) აქციონერთა მორიგი საერთო კრება. კრება ჩატარდება მისამართზე: ვაჟა-ფშაველას გამზ. 71, მე-10 ბლოკი, მე-7 სართული, 0186 თბილისი, საქართველო.

დღის წესრიგი:

1. ცენტრალური დეპოზიტარის 2022 წლის აუდიტებული კონსოლიდირებული და ცალკე მდგომი ფინანსური ანგარიშგებების დამტკიცება;
2. ცენტრალური დეპოზიტარის 2022 წლის წმინდა მოგების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
3. ცენტრალური დეპოზიტარის 2023 წლის ფინანსური აუდიტისათვის (როგორც კონსოლიდირებული, ასევე ცალკე მდგომი კომპანიისთვის) აუდიტორული კომპანიის არჩევა.

ცენტრალური დეპოზიტარის ხელმძღვანელი ორგანოს გადაწყვეტილებით, კრების სააღრიცხვო დღედ დადგენილია 2023 წლის 30 მაისი. საერთო კრებაში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ აქციონერებს, რომლებსაც აქციაზე საკუთრების უფლება ჰქონდათ ამ დღისათვის.

წინამდებარე დღის წესრიგი და მასთან დაკავშირებული რეკომენდაციები (იხ. დანართი 1) გამოქვეყნებულია მარეგისტრირებული ორგანოს ელექტრონულ პორტალზე და ცენტრალური დეპოზიტარის ვებ-გვერდზე (www.gcsd.ge).


კრების ჩატარებამდე 10 დღის განმავლობაში, 10:00-დან 17:30 საათამდე, ცენტრალური დეპოზიტარის აქციათა რეესტრში, რომელსაც აწარმოებს სს „კავკასრეესტრი“, შეგიძლიათ შეამოწმოთ კრებაში თქვენი მონაწილეობის უფლება, რისთვისაც რეგისტრატორში ელექტრონულად (დასკანერებული სახით), უნდა გააგზავნოთ სათანადო საიდენტიფიკაციო დოკუმენტის ასლი ელ. ფოსტის მისამართზე info@kavkasreestri.ge ან პირადად გამოცხადდეთ სს „კავკასრეესტრში“ მისამართზე: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზირი N74ა (მოსაშვილის ქ, 11).

- აქციონერს საერთო კრებაში მონაწილეობისა და ხმის მიცემის უფლების განხორციელება შეუძლია როგორც პირადად, ისე წარმომადგენლის მეშვეობით.
- წარმომადგენლის დანიშვნა და წარმომადგენლის დანიშვნის შესახებ შეტყობინება ხდება წერილობით ან ელექტრონულად.
- ცენტრალური დეპოზიტარის ხელმძღვანელ პირსა და სამეთვალყურეო საბჭოს წევრს არ აქვთ უფლება საერთო კრებაში მონაწილეობა მიიღონ, როგორც აქციონერთა წარმომადგენლებმა.

2023 წლის 12 ივნისს, 11:00 საათამდე ხმის უფლების მქონე აქციონერმა ან აქციონერთა უფლებამოსილმა წარმომადგენელმა პირადად უნდა გაიაროს რეგისტრაცია კრებაზე დასასწრებად, რისთვისაც აქციონერმა (ფიზიკურმა პირმა) უნდა წარმოადგინოს თავისი პირადობის მოწმობა/პასპორტი, ხოლო იურიდიული პირის შემთხვევაში - წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირმა, ან მისმა მინდობილმა პირმა - პირადობის მოწმობა/პასპორტი და (საჭიროებისას) შესაბამისი მინდობილობა.

პატივისცემით,

ევგენი პეევსკი



გენერალური დირექტორი

სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარის“
სამეთვალყურეო საბჭოსა და დირექციის
რეკომენდაციები დღის წესრიგთან დაკავშირებით

1. დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით

რეკომენდაცია:

მოწონებულ იქნას ცენტრალური დეპოზიტარის სამეთვალყურეო საბჭოსა და ხელმძღვანელი ორგანოს მიერ 2022 წელს გაწეული მუშაობა და დამტკიცდეს ცენტრალური დეპოზიტარის 2022 წლის აუდიტებული კონსოლიდირებული და ცალკე მდგომი ფინანსური ანგარიშგებები;

ცენტრალური დეპოზიტარის 2022 წლის აუდიტებული ფინანსური ანგარიშგებები ხელმისაწვდომია:

https://gcsd.ge/upload/C.S.008_WTB_GCS_D_20230331_2141_Signed_57744cb1.pdf

2. დღის წესრიგის მეორე საკითხთან დაკავშირებით

რეკომენდაცია:

მიღებულ იქნას გადაწყვეტილება ცენტრალური დეპოზიტარის 2022 წლის წმინდა მოგების გამოყენების შესახებ, კერძოდ მოგება დარჩეს კომპანიის განკარგულებაში და არ განაწილდეს დივიდენდის სახით;

3. დღის წესრიგის მესამე საკითხთან დაკავშირებით

რეკომენდაცია:

ცენტრალური დეპოზიტარის 2023 წლის ფინანსური აუდიტის (როგორც კონსოლიდირებული, ასევე ცალკე მდგომი კომპანიისთვის) ჩასატარებლად არჩეულ იქნას აუდიტორული კომპანია შპს „მოორ ეიზისი“ (ს/ნ 206331691).